

ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N9 საცხოვრებელი სახლის  
N4 ბინაზე, მოქალაქე კახა კაკოვიჩისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე კახა კაკოვიჩის განცხადება /2010 წლის 03.12 N1605/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N9 საცხოვრებელი სახლის N4 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N9 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე კახა კაკოვიჩს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N9 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე /საერთო ფართობი 72,96 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 47,85 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,11 კვ.მ./, მოქალაქე კახა კაკოვიჩის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდლუაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე